

ს ა ს ო ფ ლო -ს ა მ ე უ რ ნ ე ო კ ა რ ა ნ ტ ი ნ ის შ ე ს ა ხ ე

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კარანტინის დონისძიებებს, მისი განხორციელების პრინციპებს და მიმართულია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ნორმების დასაცავად.

თ ა ვ ი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

კანონში გამოყენებული ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კარანტინი - შემზღუდავ დონისძიებათა სისტემა მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა ინფექციებისა და მავნებლების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ბ) კარანტინის ზონა - ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება საკარანტინო დონისძიებები;

გ) სასოფლო-სამეურნეო კარანტინი - ფიტოსანიტარიულდა ვეტერინარულსახელმწიფო საკარანტინო დონისძიებათა სისტემა;

დ) ფიტოსანიტარიული კარანტინი - სახელმწიფოსაკარანტინო დონისძიებათა კომპლექსი მცენარეთა საკარანტინო ორგანიზმების შემოტანისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ე) ვეტერინარული კარანტინი - სახელმწიფოსაკარანტინო დონისძიებათა კომპლექსი ცხოველებისა და ადამიანებისათვის საერთო, აგრეთვე ცხოველთა სხვა ინფექციური და გადამდები დაავადებების საქართველოში შემოტანისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ვ) ფიტოსანიტარიული კარანტინის ობიექტი - მავნებელი, მცენარეთა დაავადების გამომწვევი აგენტი და სარეველა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არარისან შემზღუდულა და გავრცელებული;

ზ) ვეტერინარული კარანტინის ობიექტი - დაავადებული ან მასზე საექვოცხოველი, ფრინველი, თევზი, ფუტკარი, მათი განთავსებისან შენახვის ადგილი და ტერიტორია, ინფიცირებული ან მასზე საექვომეცხოველეობისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ნედლეული, ვეტერინარულკონტროლს დაქვემდებარებული სხვა პროდუქტი, ნედლეული, ტვირთი და მასალა;

თ) ფიტოსანიტარიულკარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია, მასალა და ობიექტი - პროდუქცია, მასალა და ობიექტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საკარანტინო ობიექტების გავრცელება;

ი) ვეტერინარულკარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია, მასალა და ობიექტი - ცოცხალი ორგანიზმი, პროდუქცია, ტვირთი, მასალა და ობიექტი, რომელსაც შეუძლია ან რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ინფექციური და გადამდები დაავადებების გავრცელება;

კ) მცენარე - მცენარე და მისი ნაწილი, თესლის ჩათვლით;

ლ) მავნე ორგანიზმი - მცენარეული, ცხოველური და სხვა პათოგენური აგენტი, რომელიც ვნებს მცენარეს და მცენარეულნაწარმს, ცხოველს, ფრინველს და მათგან წარმოებულპროდუქტ-ნედლეულს, აქცევს მათინფექციის გავრცელების წყაროდ.

მუხლი 2. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის საფუძველი

1. ფიტოსანიტარიული კარანტინი ხორციელდება ამ კანონის, "მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. ვეტერინარული კარანტინი ხორციელდება ამ კანონის, "ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონის, ვეტერინარული კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 3. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ძირითადი ამოცანები

1. ფიტოსანიტარიული კარანტინის ძირითადი ამოცანებია :

ა) ქვეყნის ტერიტორიის დაცვა სხვა სახელმწიფოებიდან საკარანტინო ობიექტების შემოტანისა და გავრცელებისაგან ;

ბ) გავრცელებული საკარანტინო ობიექტების დროული აღმოჩენა და გავრცელების კერების ლოკალიზაცია - ლიკვიდაციის ორგანიზება, კონტროლი ამ დონის მიხედვით შესრულებაზე ;

გ) სახელმწიფო კონტროლის დაწესება საკარანტინო წესების შესრულებაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის დროს .

2. ვეტერინარული კარანტინის ძირითადი ამოცანებია :

ა) ქვეყნის ტერიტორიის დაცვა სხვა სახელმწიფოებიდან ცხოველებისა და ადამიანებისათვის საერთო, აგრეთვე ცხოველთა სხვა ინფექციური დაავადებების გამომწვევთა შემოტანისა და გავრცელებისაგან ;

ბ) ცხოველებისა და ადამიანებისათვის საერთო, აგრეთვე ცხოველთა სხვა ინფექციური დაავადებები დაავადებების დროული აღმოჩენა, გავრცელების კერების ლოკალიზაცია - ლიკვიდაციის ორგანიზება ;

გ) სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლის დაწესება საკარანტინო წესების შესრულებაზე ცხოველის, ფრინველის, თევზის, სხვა ცოცხალი ორგანიზმის, მცხოველეობისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტ-ზედღეულის, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა პროდუქტების და მასალების წარმოების, შენახვის, გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის დროს .

მუხლი 4. საკარანტინო მომსახურების ხარჯები

საკარანტინო მომსახურება ფასიანია . ფიტოსანიტარიული საკარანტინო მომსახურების ტარიფებს განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო ვეტერინარული საკარანტინო მომსახურების ტარიფები მტკიცდება "ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

თავი II

სასოფლო-სამეურნეო კარანტინის სახელმწიფო სამსახურები

მუხლი 5. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოები

1. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ორგანიზებას და კონტროლს ახორციელებენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურები . მათი საქმიანობა განსაზღვრულია ამ კანონით, "მავნე

ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" და "ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონებით, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე მოქმედი სასაზღვრო ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული ზედამხედველობის საკარანტინო სამსახურები ექვემდებარებიან საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამის ცენტრალურ სამსახურებს.

მუხლი 6. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის სამსახურების კომპეტენცია

1. ფიტოსანიტარიული კარანტინის სახელმწიფო სამსახურის კომპეტენციაა:

ა) საკარანტინო ობიექტების ნუსხის განსაზღვრა, ქვეყანაში გაუვრცელებელან კერობრივად გავრცელებულ და ავადებების, მავნებელთა და სარვევების სახეობრივი შემადგენლობის დაზუსტება და ფიტოსანიტარიული კარანტინის ჩატარების წესებისა და ინსტრუქციების პროექტების შემუშავება;

ბ) კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის ქვეყნიდან გატანა-შემოტანისას ფიტოსანიტარიული საკარანტინო შემოწმებისა და ლაბორატორიული ექსპერტიზის ჩატარება, მათ შორის, მცენარეულ მასალაში, საფოსტო გზავნილებაში, ხელბარგში, ტარაში, შესაფუთ და სატრანსპორტო საშუალებებში;

გ) კონტროლი იმ საწარმოებზე, ჯიშთა გამოცდის ნაკვეთებზე, საცდელ და სასელექციო სადგურებზე, სათბურებზე, რომლებიც წარმოებენ თესლებს, ჩითილებს, ნერგებს და რელიზაციას უკეთებენ მათ, იღებენ თესლებსა და სარგავ მასალას ქვეყნის გარედან;

დ) კონტროლი ამ სფეროში მიღებული ნორმატიული აქტების შესრულებაზე;

ე) საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ფიტოსანიტარიული კარანტინის საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმოდგენა.

2. საიმპორტო საკარანტინო უფლება თესლებზე, სარგავ და კარანტინს დაქვემდებარებულ მასალაზე, პროდუქციასა და ობიექტებზე და ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის უფლება აქვს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურას, რომლის საქმიანობა განსაზღვრულია "მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით.

3. ვეტერინარული კარანტინის სახელმწიფო სამსახურის კომპეტენცია განსაზღვრულია "ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონით, ვეტერინარული კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით.

მუხლი 7. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ობიექტები

1. ფიტოსანიტარიული კარანტინი ვრცელდება:

ა) სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და დეკორატიული კულტურების თესლებსა და სარგავ მასალაზე, მცენარეებსა და მათ ნაწილებზე, აგრეთვე ნებისმიერ მცენარეული წარმოშობის პროდუქციაზე, სურსათზე, რომელიც შეიძლება საკარანტინო ობიექტის გამტანი გახდეს;

ბ) სოკოებსა და მათ კულტურებზე, ბაქტერიებზე, ვირუსებზე, ნემატოდებზე, ტკიპებზე და მწერებზე;

გ) მწერების კოლექციაზე, დაავადებების გამომწვევებზე და ნიმუშებზე, აგრეთვე პერზარიუმებსა და თესლების კოლექციაზე;

დ) სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც ქვეყანაში შემოდიან მის ფარგლებს გარედან;

ე) სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებზე, ტარაზე, შესაფუთსაშუალებებზე, სამრეწველო საქონელზე, მცენარეული მასალით დამზადებულ ნაკეთობებზე, რომლებიც შეიძლება გახდნენ საკარანტინო ობიექტების გადამტანები, აგრეთვე ქანებსა და ნიადაგის ნიმუშებზე;

ვ) იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ტერიტორიებსა და შენობებზე, რომლებიც დამზადებენ, ამუშავებენ, ინახავენ და რეალიზაციას უწყვენ მცენარეული წარმოშობის პროდუქტებს, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო სავარგულზე, საკარმიდამო და სააგარაკონაკვეთებზე და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე.

2. სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის კონტროლს ექვემდებარებიან "ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონით, ვეტერინარული კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული საკარანტინო ობიექტები.

თავი III

სახელმწიფო საზღვრებზე სასოფლო-სამეურნეო საკარანტინო კონტროლი

მუხლი 8. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი.

1. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო ღონისძიებებს საქართველოს საზღვრებზე საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებსა და სახმელეთო გასასვლელებში ატარებს ფიტოსაკარანტინო სამსახური საბაჟო სამსახურთან ერთად, საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე, საბაჟო კონტროლის ზონაში.

2. საქართველოში მცენარეული წარმოშობისა და კარანტინს დაქვემდებარებული სხვა პროდუქციის შემოტანა უცხოეთის ქვეყნებიდან ნებადართულია ამ პროდუქციაზე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის მდგომარეობის დამადასტურებელი საიმპორტო საკარანტინო უფლებებისა და ექსპორტიორი ქვეყნის საკარანტინო სამსახურის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის არსებობისას.

3. კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტი იმ სახელმწიფოებიდან, რომელთაც არგანიათ ფიტოსანიტარიული კარანტინის სამსახური და შესაბამისად ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, ხორციელდება სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს იმ შესაბამისი სტრუქტურის მიერ გაცემული ნებადართვით, რომლის საქმიანობაც განსაზღვრულია "მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით.

4. კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციისა და ტვირთის ტრანზიტი და რეექსპორტი საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია ექსპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და საქართველოს ფიტოსანიტარიული კარანტინის სახელმწიფო სამსახურის საკარანტინო ნებადართვით.

5. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი, კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია და სატრანსპორტო საშუალება სასაზღვრო ზონებში ექვემდებარება აუცილებელ ფიტოსანიტარიულ შემოწმებას, საჭიროების მიხედვით - ლაბორატორიული ექსპერტიზას და გაუსნებოვნებას.

6. კარანტინს დაქვემდებარებული ობიექტის აღმოჩენისას ასეთი პროდუქცია უნდა დაბრუნდეს ან გაუსნებოვნდეს, ხოლო თუ იგარეკვემდებარება გაუსნებოვნებას, მესაკუთრის ხარჯით უნდა გადამუშავდეს და გაიყიდოს ან განადგურდეს სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 9. სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი

სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებსა და სახმელეთო გასასვლელებში ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი საბაჟო სამსახურთან ერთად, საბაჟო გამშვებში

პუნქტის ტერიტორიაზე, საბაჟო კონტროლის ზონაში, "ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

თავი IV

სასოფლო-სამეურნეო კარანტინის განხორციელება

საქართველოს ტერიტორიაზე

მუხლი 10. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სამსახურის შიდასაკარანტინო ღონისძიებანი

1. საკარანტინო ობიექტის აღმოჩენისას განსაზღვრული ტერიტორია ცხადდება საკარანტინო ზონად.
2. საკარანტინო რეჟიმის ტერიტორიაზე იზღუდება სატრანსპორტო საშუალებების შესვლა-გამოსვლა, აკრძალულია კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის შეტანა-გამოტანა; ამასთან, ადგილზე ხდება მათი გაუსნეობვება, ტექნიკური გადამუშავება ან განადგურება სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.
3. საკარანტინო ზონიდან ფიტოსანიტარიული კარანტინის სამსახურის ინსპექტორების უნებართვოდ გამოსვლა, კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია უნდა დაბრუნდეს, ჩამორთმეულიქნეს და გადაეცეს შესაბამის სავაჭრო-გადამამუშავებელსაწარმოებს ან განადგურდეს სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.
4. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე მმართველობის ადგილობრივი ორგანოები აცხადებენ ფიტოსანიტარიულ კარანტინს და შესაბამისად, საკარანტინო ღონისძიებების გატარებისას და დასნეობვებულ კერის ლიკვიდაციის შემდეგ, ხსნიან მას, რის შესახებაც ეცნობება სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურს.

მუხლი 11. სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის შიდასაკარანტინო ღონისძიებანი

საკარანტინო ღონისძიებებს ქვეყანაში ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ვეტერინარიის დეპარტამენტების, მის დაქვემდებარებაში მყოფი სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი ვეტერინარული პოლიციის სამსახურის მეშვეობით. ვეტერინარული პოლიციის სამსახურისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები ვეტერინარიის დეპარტამენტს გამოეყოფა ეპიზოოტიური ხარჯებისათვის გათვალისწინებულ სიგნებებში. საკარანტინო ღონისძიებები განსაზღვრულია "ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონით, ვეტერინარული კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით. ვეტერინარიის დეპარტამენტი კარანტინის გამოცხადების შესახებ აცნობებს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურს.

თავი V

პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის

მუხლი 12. პასუხისმგებლობა ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კარანტინის მოთხოვნათა დარღვევისათვის

პასუხისმგებლობა "სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ" კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი VI

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 13. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,

1997 წლის 15 მაისი.

**„სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, '23-24, 7 ივნისი, 1997, გვ. 12) VI თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი VI

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 13. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონით გათვალისწინებული კონტროლის ღონისძიებები 2006 წლის 1 იანვრამდე გავრცელდეს მხოლოდ პროდუქციის საქართველოში შემოტანისას, თუ ცნობილია, რომ პროდუქციის წარმოშობის ქვეყანაში:

- ა) არის მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაავადების ფაქტები;
- ბ) გავრცელებულია ეპიდემიები ან ეპიზოოტიები.

2. საქართველოს მთავრობამ, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოს ეპიდემიების ან ეპიზოოტიების, აგრეთვე მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაავადებების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხის გამოქვეყნება სისტემატურად, აღნიშნულ ნუსხაში ცვლილებების შეტანის შესაბამისად.

მუხლი 14. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2005 წლის 24 ივნისი.

**„სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, '23-24, 7 ივნისი, 1997, გვ. 12) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. საკარანტინო მომსახურების მოსაკრებელი

საკარანტინო მომსახურების გაწევისათვის დაწესებულია მოსაკრებელი, რომლის სტრუქტურა და ოდენობა განისაზღვრება „საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე

თბილისი,

2003 წლის 7 მაისი.

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N23-24, 7 ივნისი, 1997, გვ. 12) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის განმახორციელებელი
სახელმწიფო ორგანო

სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ორგანიზებას და კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის საქმიანობა განსაზღვრულია ამ კანონით, „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ და „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონებით, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით.“.

2. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული
სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი

1. საქართველოს საზღვრებზე, საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებში, სახმელეთო გასასვლელებში და საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო ღონისძიებების კონტროლს მცენარეთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ეპიზოოტიის საერთაშორისო ბიუროს მიერ დადგენილი წესებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული პოლიტიკის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი.

2. კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტი და ტრანზიტი ნებადართულია ამ პროდუქციაზე ექსპორტიორი ქვეყნის შესაბამისი სერტიფიკატის და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნებართვით.

3. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი, კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია და სატრანსპორტო საშუალება სასაზღვრო ზონებში ექვემდებარება აუცილებელ ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ შემოწმებას, საჭიროების მიხედვით – ლაბორატორიულ ექსპერტიზას და გაუსნებოვნებას.

4. კარანტინს დაქვემდებარებული ობიექტის აღმოჩენისას ასეთი პროდუქცია უნდა დაბრუნდეს ან გაუსნებოვნდეს, ხოლო თუ იგი არ ექვემდებარება გაუსნებოვნებას, მესაკუთრის ხარჯით უნდა გადამუშავდეს და გაიყიდოს ან განადგურდეს სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.“.

5. მე-9 მუხლი ამოღებულ იქნეს.

6. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. შიდასაკარანტინო ღონისძიებები

1. საკარანტინო ობიექტის აღმოჩენისას განსაზღვრული ტერიტორია ცხადდება საკარანტინო ზონად.

2. საკარანტინო რეჟიმის ტერიტორიაზე იზღუდება სატრანსპორტო საშუალებების შესვლა-გამოსვლა, აკრძალულია კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის შეტანა-გამოტანა; ამასთანავე, ადგილზე ხდება მათი გაუსნებოვნება, ტექნიკური გადამუშავება ან განადგურება სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

3. საკარანტინო ზონიდან უნებართვოდ გამოტანილი, კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია უნდა დაბრუნდეს, ჩამორთმეულ იქნეს და გადაეცეს შესაბამის სავაჭრო-გადამამუშავებელ საწარმოებს ან განადგურდეს სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

4. კარანტინის გამოცხადებისა და მისი მოხსნის შესახებ ეცნობება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შესაბამის მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, ასევე ინფორმაცია ქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.“.

7. მე-11 მუხლი ამოღებულ იქნეს.

8. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელდეს 2009 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2005 წლის 28 დეკემბერი.

**„სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N23-24, 7 ივნისი, 1997, გვ. 12) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს საზღვრებზე, საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებში, სახმელეთო გასასვლელებში და საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო ღონისძიებების კონტროლს მცენარეთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ეპიზოოტიის საერთაშორისო ბიუროს მიერ დადგენილი წესებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული პოლიტიკის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური.“.

2. მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა განახორციელოს 2009 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2006 წლის 29 დეკემბერი.

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N23-24, 7 ივნისი, 1997, გვ. 12) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“-„რ“ ქვეპუნქტები:

„მ) ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი – სამსახურის მიერ გაცემული, ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის, მასალის, ობიექტის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც მომზადებულია მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით (FAO, 1997) დამტკიცებული ფორმის შესაბამისად;

ნ) ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება – ფიტოსანიტარიული პროცედურების გამოყენება, რომლის შედეგადაც გაიცემა ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი;

ო) ფიტოსანიტარიული პროცედურები – სამსახურის მიერ ფიტოსანიტარიული რეგლამენტაციის გამოყენების მეთოდები საკარანტინო და არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებთან დაკავშირებით, დახედვის, ანალიზის, ზედამხედველობის, დამუშავების ჩატარების ჩათვლით;

პ) დახედვა – მავნე ორგანიზმის არსებობის ან არარსებობის დადგენის ან/და ფიტოსანიტარიული რეგლამენტაციის დაცვის მიზნით მცენარის, მცენარეული პროდუქციისა და ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული სხვა მასალის ვიზუალური გამოკვლევა;

ჟ) ანალიზი – მავნე ორგანიზმის გამოვლენის ან მისი იდენტიფიკაციის მიზნით სამსახურის მიერ ჩატარებული არავიზუალური ოფიციალური შემოწმება;

რ) ზედამხედველობა – მოცემულ ზონაში მავნე ორგანიზმის არსებობის ან არარსებობის შესახებ მონაცემების შეკრებისა და რეგისტრაციის ოფიციალური პროცესი, გამოკვლევის, მონიტორინგისა და სხვა პროცედურების გამოყენებით.“.

2. მეორე თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასოფლო-სამეურნეო კარანტინის განმახორციელებელი სახელმწიფო სამსახური“.

3. მე-5 და მე-6 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის განმახორციელებელი

სახელმწიფო სამსახური

სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ორგანიზებასა და მასზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური (შემდგომში – სამსახური), რომლის საქმიანობა განსაზღვრულია ამ კანონითა და „სურსათის

უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“, „ვეტერინარიის შესახებ“ და „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით.

მუხლი 6. სამსახურის უფლებამოსილება

სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) საკარანტინო ობიექტების ნუსხის განსაზღვრა, ქვეყანაში გაუვრცელებელი ან კერებად გავრცელებული დაავადებების, მავნებლებისა და სარეველების სახეობრივი შემადგენლობის დაზუსტება და ფიტოსანიტარიული კარანტინის ჩატარების წესებისა და ინსტრუქციების პროექტების შემუშავება;

ბ) კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის ქვეყნიდან გატანისას და ქვეყანაში შემოტანისას ფიტოსანიტარიული საკარანტინო შემოწმებისა და ლაბორატორიული გამოცდის ჩატარება, მათ შორის, მცენარეულ მასალაში, საფოსტო გზაზე, ხელბარგში, ტარაში, შესაფუთ და სატრანსპორტო საშუალებებში;

გ) კონტროლის განხორციელება იმ სანერგეზე, ჯიშთა გამოცდის ნაკვეთზე, საცდელ და სასელექციო სადგურებზე, სათბურზე, რომლებიც აწარმოებენ თესლებს, ჩითილებს, ნერგებს და ახდენენ მათ რეალიზებას, იღებენ თესლებსა და სარგავ მასალას ქვეყნის გარედან;

დ) კონტროლის განხორციელება ამ სფეროში მიღებული ნორმატიული აქტების შესრულებაზე;

ე) საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ფიტოსანიტარიული კარანტინის საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმოდგენა;

ვ) ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის, მასალის, ობიექტის ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების, აგრეთვე ექსპორტ-იმპორტის დროს სავალდებულო სერტიფიცირების უზრუნველყოფა.“.

4. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი, კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია და სატრანსპორტო საშუალება სასაზღვრო ზონებში ექვემდებარება აუცილებელ ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ შემოწმებას, საჭიროების მიხედვით – ლაბორატორიულ გამოცდას და გაუსნებოვნებას.“.

5. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2007 წლის 1 ივლისამდე შეიმუშაოს:

ა) საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების შემოჭრისა და გავრცელებისაგან საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარიული დაცვის წესები;

ბ) ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის, მასალისა და ობიექტების ნუსხა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2006 წლის 29 დეკემბერი